ხელშეკრულება N10

საქონლის შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

5 სექტემბერი 2016 წელი

ქ.თბილისი

ერთის მხრივ შპს „სტარტაპ საქართველო“ (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ვაჟა მენაბდის სახით და მეორეს მხრივ შპს „Geosm“ (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის თეიმურაზ ახობაძის სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს1" ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ _ "ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „საქონელი“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7. „ინსპექტირება“ - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საკანცელარიო ნივთების შესყიდვა: CPV30190000, CPV30192121, CPV30193000, CPV30197320, CPV30197110, CPV30197210, CPV30192125, CPV30195900, CPV30192125, CPV30192160, CPV30195921, CPV30192130, CPV30192133, CPV30197220, CPV30197120, CPV30199731, CPV30199500, CPV30197221, CPV30192700

3. საქონლის მიწოდების პირობები

3.1. შესასყიდი საქონლის მახასიათებლები, რაოდენობა, ერთეულის და საერთო ფასები მითითებულია ფასების ცხრილში (დანართი N1);

3.2. საქონლის მოწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში;

3.3. საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, ვუკოლ ბერიძის ქ. N6.

4. სახელშეკრულებო ღირებულება

4.1. საერთო სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 930.70 (ცხრაასოცდაათი ლარი და 70 თეთრი) ლარს;

4.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. საქონლის მიწოდების შემდეგ „შემსყიდველსა" და „მიმწოდებელს" შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი;

5.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ,,მიმწოდებლის" მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე;

5.3. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;

5.4. ანგარიშსწორება განხორციელდება ერთ ეტაპად, საქონლის მიწოდების შემდეგ, 5.3. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. გარანტია

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო დღეში განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეკეთება ან შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

7. ხარისხი

7.1. საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და აკმაყოფილებდეს ხელშეკრულების პირობებს.

8. მხარეთა უფლება–მოვალეობები

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

8.1.1. აწარმოოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი;

8.1.2. განაცხადოს უარი დაგვიანებით მიწოდებული, უხარისხო (წუნდებული) ან არასრული მოცულობით წარმოდგენილი საქონლის მიღებაზე;

8.1.3. ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, საჭიროების შემთხვევაში ჩაატაროს ხარისხის კონტროლი, რისთვისაც შესაძლებელია მოწვეულ იქნეს ექსპერტი.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე–5 მუხლით გათვალისწინებული პირობებით;

8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

8.3.1. მიიღოს მიწოდებული საქონლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება;

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.4.1. მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი;

8.4.2. განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;

8.4.3. ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების ჩატარების დროს.

9. ინსპექტირება

9.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისად;

9.2. ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს შემსყიდველის უფლებამოსილი პირი;

9.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენლის (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) მიერ ხარისხის კონტროლის ჩატარების შემთხვევაში თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, შემსყიდველი აცნობებს მიმწოდებელს წერილობით ამის შესახებ, ხოლო მიმწოდბელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 2 (ორი) სამუშაო დღეში გამოასწოროს წუნი.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა,ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

10.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა;

10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, შესაძლებელია გაიზარდოს სახელშეკრულებო ღირებულება არაუმეტეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტისა;

10.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის (შეთანხმება) სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.6. ხელშეკრულება ან მისი რომელიმე დებულება შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით

შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%–ს ოდენობით;

11.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%–ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

12. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

12.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

13.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 10 ოქტომბრამდე.

15. განსაკუთრებული პირობები

15.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს იურიდიული ძალა აქვს;

15.3. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება ,,მიმწოდებელს", ხოლო ორი ინახება შემსყიდველ ორგანიზაციაში.

16. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	
შპს „სტარტაპ საქართველო"	შპს „Geosm"
ი/მ ქ. თბილისი, ინოვაციების ქ. N7	ქ. თბილისი, მ.ასათიანის N14
ფ/მ ქ. თბილისი, ვუკოლ ბერიძის ქ. N6	სს „პროკრედიტ ბანკი"
	ბანკის კოდი: MIBGGE22
	ა/ა GE45 PC02 2360 0100 0108 27
ს/კ 404 515 468	ს/კ 404 873 614
დირექტორი	დირექტორი
ვაჟა მენაბდე	თეიმურაზ ახობაძე

დანართი 1

N	მომსახურეობის დასახელება	რაოდენობა	ფასი	სულ
1	2/E38251 სამაგიდე ნაკრები - ორგანაიზერი, მრგვალი 17 საგნიანი	9	13.5	121.5
2	2/6526BLUE ბურთულიანი კალამი კნოპკით ლურჯი	30	0.3	9
3	2/3315 ბლოკნოტი 204*143, 120 ფ	9	8.2	73.8
4	2/6370 საკანცელარიო ჯამი	24	3.85	92.4
5	2/G040 ფაილი a4 40მიკრ. 100 ცალიანი	10	3.75	37.5
6	2/E0325 სტეპლერი 24/6	6	2.7	16.2
7	2/E0012 სტეპლერის ტყვია 24/6	6	0.35	2.1
8	2/S600 ტექსტმარკერი	10	0.65	6.5
9	2/E0394 სტეპლერი 23/6/8/10/23	1	22.5	22.5
10	2/E0013 სტეპლერის ტყვია 23/13	2	1	2
11	2/Y03A წებოვანი ჩასანიშნი 75*75	9	1.35	12.15
12	2/E7600 ჩასანიშნი ფურც. პლასტ. ჩასადებით 91*87	9	2.95	26.55
13	SN/5064 გვერდის მოსანიშნი პლასტიკური 7 ფერი	9	1.12	10.08
14	2/7684 რვეული ა5 80ფ	10	1.91	19.1
15	2/G2045 ბაინდერი ვიწრო ა4	20	2.09	41.8
16	2/G2040 აინდერი განიერი ა4	5	2.09	10.45
17	2/6824 CD მარკერი	2	0.6	1.2
18	2/LY-9102 მეტალის ურნა ბადისებური	9	9.65	86.85
19	2/E8784 მაგნიტური თეთრი დაფა 90*120	1	124	124
20	2/S500 დაფის მარკერი	5	0.83	4.15
21	2/E7834 დაფის საშლელი მაგნიტური	2	1.9	3.8
22	2/H234 კორექტორი ფუნჯით	2	0.88	1.76
23	2/E7122 მმრალი წებო 21გრ	2	0.88	1.76
24	2/E37000 ფანქარი საშლელით 2B	2	0.21	0.42
25	2/E0545 ფანქრის სათლელი კონტეინერით	2	0.94	1.88
26	2/E6230 სახაზავი პლასტმასის 30სმ	1	0.5	0.5
27	2/E38563 საკანცელარიო კლიპი 32მმ	36	0.12	4.32
28	2/E38561 საკანცელარიო კლიპი 51მმ	36	0.3	10.8
29	2/E39712 სკრეპი მეტალის 33მმ	3	0.55	1.65

30	2/E0021 ჭიკარტი ლურსმანი	1	0.7	0.7
31	2/7623 პლასტმასის სამაგიდე სავიზიტე	9	1.8	16.2
32	2/5792 სავიზიტე 180 ცალიანი	1	8.58	8.58
33	2/1025 საქაღალდე ადრესატი	2	18.00	36
34	2/E38146 პლასტიკური საქაღალდე 30 ფაილით	10	2.9	29
35	2/SH1044 პლასტიკური სწრაფჩამკერი ა4	100	0.23	23
36	2/E39621 საქაღალდე 2 რეზინით	30	2.35	70.5
			სულ	**930.70**

შემსყიდველი

შპს „სტარტაპ საქართველო"

ი/მ ქ. თბილისი, ინოვაციების ქ. N7

ფ/მ ქ. თბილისი, ვუკოლ ბერიძის ქ. N6

ს/კ 404 515 468

დირექტორი

ვაჟა მენაბდე

შპს „Geosm"

ქ. თბილისი, მ.ასათიანის N14

სს „პროკრედიტ ბანკი"

ბანკის კოდი: MIBGGE22

ა/ა GE45 PC02 2360 0100 0108 27

ს/კ 404 873 614

დირექტორი

თეიმურაზ ახობაძე